



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პროექტი  
დადგენილება №21

2017 წლის 15 დეკემბერი  
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“  
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N5 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის  
შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების  
დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის  
N5 დადგენილებაში (ვებგვერდი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 17/11/2017, სარეგისტრაციო კოდი:  
010250050.35.138.016284) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ 3. საორგანიზაციო განყოფილება**

II რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი;

III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის  
საკითხებში;

III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში;

III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში;

III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საქმისწარმოებისა და ადამიანური  
რესურსების მართვის საკითხებში;

III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - წერილებისა და კადრების  
საკითხებში.”

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე  
ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე, „საჯარო  
სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად”.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე